# Capadur F7-LangzeitLasur

ხის საშუალო სისქის ფენის ლაზური. ძლიერი დაცვა კლიმატური ზემოქმედებისგან და ულტრაიისფერი (UV) სხივებისგან. შიდა და გარე სამუშაოებისათვის. არ შეიცავს არომატიზირებულ გამხსნელებს.

ColorExpress

## პროდუქტის აღწერა

**გამოყენების სფეროები**

მასიური ხის კომპონენტების, რომლებიც ინარჩუნებენ (კარი და ფანჯარა) და საშუალოდ ინარჩუნებენ ზომებს (დარაბები, ჭიშკრები, და სხვ.), მათი ფერადი გაფორმებისთვის. იცავს ტენიანობისა და ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან. გამოიყენება გარე და შიდა სივრცეებში. მყარი ხის პანელების დაფარვამდე უმჯობესია გათვალისწინებულ იქნას BFS მონაცემთა ფურცლის მითითებები.

**თვისებები**

- არ შეიცავს ბიოციდურ დანამატებს
- არ შეიცავს არომატიზირებულ გამხსნელებს
- დამატებითი დაცვა ულტრაიისფერი სხივებისგან, ულტრაიისფერი ფილტრების დამსახურებით.
- ნესტისგან ხანგრძლივი დაცვა
- მაღალი ორთქლდიფუზიურობა
- არ წვეთავს დატანისას
- ხანგრძლივი სამუშაო დროის გამო, ლაზურის დატანა შესაძლებელია დიდ ფართობებზე
- მაღალი დაცვა ულტრაიისფერი (UV) სხივებისგან, გამჭირვალე რკინის ოქსიდის პიგმენტების დამსახურებით

**საღებავის ბაზა**

ალკიდური ფისი არომატიზირებული გამხსნელების გარეშე

**შეფუთვა**

- **სტანტარტული ფერები:**
  375 მლ: გამჭირვალე, Kiefer (ფიჭვი), Eiche hell (მუხა ღია), Nußbaum (თხილის ხე / კაკალი) 750 მლ: Kiefer (ფიჭვი), Eiche hell (მუხა ღია), Walnuß (კაკალი), Nußbaum (თხილის ხე / კაკალი) , Palisander (პალისანდრი), Teak (ტექტონა), Mahagony (მაჰაგონი), Ebenholz (აბანოზის ხე).
- **სპეციალური ფერები:**
  1 ლ, 2.5 ლ, 5 ლ: Capalac mix

**ფერი**

- **სტანტარტული ფერები:**
  გამჭირვალე,  Kiefer (ფიჭვი), Eiche hell (მუხა ღია), Walnuß (კაკალი), Nußbaum (თხილის ხე / კაკალი) , Palisander (პალისანდრი), Teak (ტექტონა), Mahagony (მაჰაგონი), Ebenholz (აბანოზის ხე).
- ყველა ფერი შესაძლებელია ნებისმიერი თანაფარდობით შეერიოს ერთმანეთს.

ColorExpress სისტემების (Capamix და Capalac mix) მეშვეობით შესაძლებელია ასევე 3D კოლექციის 89 სპეციალურ ფერზე, ისევე როგორც სხვა კოლექციების მრავალ ფერზე შეფერადება.

**მითითება:** ზოგიერთი ფერის გამოყენება მხოლოდ შეზღუდულად არის შესაძლებელი. ინფორმაცია ამის შესახებ ხელმისაწვდომია ColorExpress-ის სადგურებიდან. “გამჭირვალე” Capadur F7-LangzeitLasur -ი გარე სამუშაოებისას გამოიყენება მხოლოდ, როგორც საგრუნტავი - ფერადი ლაზურების დატანამდე, ზედაპირის შეწოვის უნარის გასათანაბრებლად, რადგან სხვა შემთხვევაში ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვა არ იქნება უზრუნველყოფილი. მაღალი კლიმატური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ზედაპირებზე, „გამჭირვალე“ ლაზური არ გამოიყენება.

**სიპრიალის ხარისხი**

აბრეშუმისებრი-პრიალა
სიპრიალის ხარისხი დამოკიდებულია დასამუშავებელი ხის ზედაპირზე




CAPAROL

# ტექნიკური ინფორმაცია N. 188

| | |
|---|---|
| შენახვის პირობები | შეინახეთ გრილ ადგილას, დახურულ შეფუთვაში |
| ტექნიკური პარამეტრები | ■ სიმკვრივე: დაახლო. 0.95 გ/სმ3<br>■ მყარი სხეულების შემცველობა: დაახლ. წონის 60% |

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606-ის მიხედვით.

| ინტერიერი 1 | ინტერიერი 2 | ინტერიერი 3 | ექსტერიერი1 | ექსტერიერი 2 |
|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | + | + |
| (–) არ არის შასაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი | | | | |

## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

**განსაზღვრული ან შეზღუდულად განსაზღვრული ზომის ხის ელემენტები.**
ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკევებელი ნივთიერებებისაგან. ხის ტენიანობამ უნდა შეადგინოს განსაზღვრული ზომის ელემენტებისთვის მაქსიმუმ 13% და შეზღუდულად განსაზღვრული ელემენტებისთვის მაქსიმუმ 15%. აუცილებელია ხის კონსტრუქციული დაცვის ძირითადი პრინციპების დაცვა. ისინი წარმოადგენენ შეღებილი ხის ხანგრძლივი დაცვის აუცილებელ პირობას.

ზედაპირის მომზადება

**ახალი ხის ელემენტები:**
ხის გლუვი ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). გარეთ მდებარე ელემენტების დაგრუნტვა წინასწარ მოხდეს Capalac Holz-Imprägniergrund-ით.

**ძველი, დაუმუშავებელი ხე:**
განაცრისფრებული, ამინდისგან გამომშრალი ხე დაიშლიფოს ჯანმრთელ, მზიდუნარიან ზედაპირამდე და საფუძვლიანად გაიწმინდოს. გარეთ მდებარე ელემენტების დაგრუნტვა წინასწარ მოხდეს Capalac Holz-Imprägniergrund-ით.

**შეღებილი ხე:**
არამზიდი დანაფარები მოცილდეს სრულად ხის ზედაპირამდე. გარეთ მდებარე ელემენტების დაგრუნტვა წინასწარ მოხდეს Capalac Holz-Imprägniergrund-ით.
მზიდუნარიანი დანაფარები გაიშლიფოს, გაიწმინდოს და შემოწმდეს Capadur F7-LangzeitLasur-თან თავსებადობაზე

დატანის მეთოდები

Capadur F7-LangzeitLasur-ის დატანა ხდება ფუნჯით, გაუზავებლად.

დაფარვის სტრუქტურა

**დაფარვის სისტემა:**

| დაფარვის სტრუქტურა: | | | |
|---|---|---|---|
| | **ექსტერიერი** | **ექსტერიერი** | **ინტერიერი** |
| | განსაზღვრული ზომის სტაბილური ელემენტები | შეზღუდულად განსაზღვრული ზომის სტაბილური ელემენტები | |
| საგრუნტავი ფენა | Capalac Holz-Imprägniergrund | Capalac Holz-Imprägniergrund | Capadur F7-LangzeitLasur |
| შუალედური ფენა | 1 x Capadur LasurGel1) | 2 x Capadur LasurGel | არ არის საჭირო |
| საბოლოო ფენა | 2 x Capadur F7-LangzeitLasur | Capadur F7-LangzeitLasur | Capadur F7-LangzeitLasur |

| | |
|---|---|
| 1) | ულტრაიისფერი სხივებისგან ოპტიმალური დაცვისთვის, ღია ფერებისთვის საჭიროა შუალედური ფენის 2-ჯერ დატანა. მუქი ფერებისთვის (კაკალი და უფრო მუქი) საკმარისია ერთი შუალედური ფენა. უფერო პროდუქტს არ გააჩნია დაცვა ულტრაიისფერი სხივებისგან და გამოიყენება ძირითადად როგორც საგრუნტავი ფენა ან შიდა სივრცეების დასაფარად. |

| სპეციალური მაზერირების ტექნიკა გარე სამუშაოებისთვის | |
|---|---|
| ხის ლაქებიანი ზედაპირებისთვის, ან ზედაპირებისთვის რომლებიც აღარ ექვემდებარება ლაზურით დაფარვას | მოხდეს დაუმუშავებელი ხის დაგრუნტვა Capalac Holz-Imprägniergrund- ით. |
| | 1–2 x Capadur UniversalLasur-ი შემაკეთებელ ფერში სტანდარტული ფერების გამიდან.<br>ალტერნატივა:<br>1-2 x Capalac Renovierweiß ი შემაკეთებელ ფერში ColorExpress სისტემიდან |
| | 1 - 2 x Capadur F7-LangzeitLasur |

ხარჯი

ფუნჯით დატანა: დაახლ. 80–100 მლ/მ2.

გამოყენების პირობები

**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:**
მინიმალური ტემპერატურა: +5 C.

შრობის დრო

20° C და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში - ზედაპირი მშრალია 10-16 საათში. ხის ზედაპირის შეწოვის უნარი გავლენას ახდენს შრობაზე და სიპრიალეზე. ჭარბი ხის შემადგენელი ნივთიერებების მქონე ხის სახეობებში (მაგ. მუხა) შრობის დრო შეიძლება გაიზარდოს.

## შენიშვნები

| | |
|---|---|
| ყურადღება | სითხე და ორთქლი აალებადია. მრავალჯერადმა კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს კანის გამოშრობა და დახეთქვა. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მოარიდეთ პროდუქტი სიცხეს, ნაპერწკლებს, ცეცხლს, მხურვალე ზედაპირებს. არ მოწიოთ. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი „ღრუბელი“. მოერიდეთ კანზე, თვალებში ან ტანსაცმელზე მოხვედრას. მუშაობის პროცესში იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. ნუ დაუშვებთ პროდუქტის წყალ-სადენებში და ნიადაგში მოხვედრას. გადაყლაპვისას: გამოივლეთ წყლით. არ გამოიწვიოთ ღებინება. შეფუთვა უნდა იყოს ჰერმეტიულად დახურული და ინახებოდეს გრილ და კარგად ვენტილირებად ადგილას. შეიცავს (1,2,2,6,6-პენტამეთილპიპერიდილ) -მდე სებაკატს, 2-ბუტანონოქსიმ-ს. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. |
| უტილიზაცია | მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი. |
| აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC) | პროდუქტის კატეგორია (A/e): 400გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 400 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC). |
| პროდუქტის კოდი საღებავები და ლაქები | M-KH02 (გერმანია) |
| შემადგენლობა | ალკიდური ფისი, პიგმენტები, ალიფატები, სილიკატები, ადიტივები. |
| ტექნიკური კონსულტაცია | მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი. |

**შპს კაპაროლ ჯორჯია**
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge